# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. 2023 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი ........ 3

2. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა ........ 8

2.1. მიღებული შეტყობინებები ........ 8

2.2. გამოძიების დაწყება ........ 11

2.3. სავარაუდო მსხვერპლები ........ 14

2.4. შესაძლო დანაშაულის გარემოებები ........ 16

2.5. სისხლისსამართლებრივი დევნა ........ 19

2.6. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები ........ 20

2.7. გამოძიების შეწყვეტა ........ 20

3. ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა ........ 22

3.1. მიღებული შეტყობინებები ........ 22

3.2. გამოძიების დაწყება ........ 24

3.3. სავარაუდო მსხვერპლები ........ 28

3.4. შესაძლო დანაშაულის გარემოებები ........ 29

3.5. სისხლისსამართლებრივი დევნა ........ 30

3.6. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები ........ 35

3.7. გამოძიების შეწყვეტა ........ 36

3.8. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ........ 36

4. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა ........ 40

4.1. მიღებული შეტყობინებები ........ 40

4.2. გამოძიების დაწყება ........ 41

4.3. სავარაუდო მსხვერპლები ........ 43

4.4. სისხლისსამართლებრივი დევნა ........ 46

4.5. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები ........ 47

4.6. გამოძიების შეწყვეტა ........ 48

4.7. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ........................................................................ 49
**5. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას ................................................ 51**
**6. შედარებითი ანალიზი ........................................................................................................ 52**
**7. დასაბუთებული წინადადებების შედარებითი ანალიზი ....................................................... 56**

# 1. 2023 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი[1]

2023 წელს, სამსახურში შემოვიდა **3057** შეტყობინება. აქედან **62**% (**1901** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **18**% (**548** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, **10**% (**307** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **6**% (**165** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, ხოლო **4**% (**136** შეტყობინება) - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველომ.

აღნიშნული **3057** შეტყობინებიდან **2245** შეტყობინება (**73**%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[2] **117** შეტყობინება (**4**%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[3] **459** შეტყობინება (**15**%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[4] ხოლო **236** შეტყობინება (**8**%) წარმოადგენდა არაქვემდებარე შეტყობინებას.[5]

[1] იგულისხმება 2023 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი და ერთვის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშს;
[2] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები;
[3] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები;
[4] იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;
[5] არაქვემდებარე შეტყობინებად აღირიცხება ის შეტყობინებები, რომლებიც შეტყობინების შემოსვლის ეტაპზე არ შეიცავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულის ნიშნებს.

## შემოსული შეტყობინებების რაოდენობა




2023 წელს, სამსახურმა გამოძიება დაიწყო **537** სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან, **439** საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა **59** საქმე, **36** საქმე გამოიყო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან, ხოლო **3** საქმეზე გამოძიება დაიწყო მედიასაშუალებაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღნიშნული **537** საქმიდან, იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო **257** საქმეზე. იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **79** საქმეზე, ხოლო,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებზე - გამოძიება დაიწყო **201** საქმეზე.

აღნიშნული **537** სისხლის სამართლის საქმიდან, **333** საქმეზე გამოძიება დაიწყო აღმოსავლეთის სამმართველოში, **85** საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, **56** საქმეზე - დასავლეთის სამმართველოში, **33** საქმეზე - კახეთის სამმართველოში, ხოლო **30** საქმეზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში.




2023 წელს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ **93** პირის მიმართ სამსახურის წარმოებაში არსებულ **84** სისხლის სამართლის საქმეზე.[6]




სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სამმართველოების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:[7]

[6] აღნიშნული 93 პირიდან, ერთსა და იმავე პირს ბრალი წარედგინა 2 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე (იანვარსა და მაისში), შესაბამისად ჩათვლილია 2 პირად.
[7] ერთსა და იმავე პირს ბრალი წარედგინა 2 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე (იანვარსა და მაისში), შესაბამისად ჩათვლილია 2 პირად.




**93** ბრალდებულიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა **57** შემთხვევაში დაიწყო მოქალაქის მიმართ, ხოლო **36** შემთხვევაში - საჯარო მოხელის მიმართ.[8]




[8] აღნიშნული საჯარო მოხელეებიდან, ერთსა და იმავე პირს ბრალი წარედგინა 2 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე (იანვარსა და მაისში), შესაბამისად ჩათვლილია 2 მოხელედ.

ბრალდებულთა თანამდებობები გადანაწილებულია შემდეგნაირად:




2023 წელს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა სამსახურის წარმოებაში არსებულ **88** სისხლის სამართლის საქმეზე.

2023 წელს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოიყენა განრიდება **23** პირის მიმართ, სამსახურის წარმოებაში არსებულ **15** სისხლის სამართლის საქმეზე (15 მოქალაქე, 8 საჯარო მოხელე),[9] ხოლო დისკრეციული უფლებამოსილებით შეწყვიტა **1** სისხლის სამართლის საქმე, **1** პირის მიმართ (მოქალაქე).

[9] აქედან, 1 განრიდებული საჯარო მოხელის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

## 2. ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[10]

### 2.1. მიღებული შეტყობინებები

2023 წელს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, სამსახურში შემოვიდა **2245** შეტყობინება. აქედან **59%** (**1335** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **20%** (**459** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, **10%** (**223** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **6%** (**127** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, ხოლო **5%** (**101** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.

**შემოსული შეტყობინებების რაოდენობა**




[10] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის $144^1$–$144^3$ მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

ყველაზე დიდი ნაწილი **(67%)** შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.[11]

**მიღებული შეტყობინებების ავტორები**




[11] რიგ შემთხვევებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

### მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

შემოსული **2245** შეტყობინება შეეხებოდა **2384** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა **46%**-ის (**1107** პირი) მიმართ შეტყობინებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, **16%-მა** (**378** პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, **13%**-ის (**298** პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, რადგან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, **11%**-ის (**265** პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება, **9%**-ის (**211** პირი) შემთხვევაში შეტყობინება წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას გამოძიებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით, ხოლო **5%**-ის (**125** პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე მიმდინარეობს წარმოება.

**მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება**
(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)




საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები **2384** სავარაუდო მსხვერპლიდან გაესაუბრნენ **1881** სავარაუდო მსხვერპლს. **60%**-თან გასაუბრება ჩატარდა შეტყობინების მიღებიდან იმავე ან მეორე დღეს[12].

[12] სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება შეტყობინების შემოსვლიდან რამდენიმე დღის (კვირის) შემდგომ, ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ვერ ხერხდებოდა სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირება - არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ მისამართზე და ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ; სავარაუდო მსხვერპლს სჭირდებოდა დრო ადვოკატის ასაყვანად; სავარაუდო მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარს აცხადებდა გასაუბრებაზე; შეტყობინებაში არ ფიქსირდებოდა სავარაუდო მსხვერპლის საკონტაქტო ინფორმაცია, შესაბამისად, საკონტაქტო ინფორმაციის მოძიების შემდგომ მოხდა მასთან დაკავშირება.




## 2.2. გამოძიების დაწყება

2023 წელს, სამსახურმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო სულ **257 სისხლის სამართლის საქმეზე,** მათგან **243** საქმეზე მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, **10** საქმე გამოიყო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა საქმიდან,[13] ხოლო უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა **4** სისხლის სამართლის საქმე. **აღნიშნული 257 სისხლის სამართლის საქმიდან, 159** საქმეზე გამოძიება დაიწყო აღმოსავლეთის სამმართველოში, **53** საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, **25**

[13] - 4 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან და ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში;
- 2 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან, საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართვის მიზნით.
- 1 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან და დარჩა წარმოებაში;
- 1 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან და დარჩა წარმოებაში;
- 1 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან და ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში;
- 1 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 108 მუხლით, გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან, საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართვის მიზნით;

საქმეზე დასავლეთის სამმართველოში, **13** საქმეზე - კახეთის სამმართველოში, ხოლო **7** საქმეზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში.

**გამოძიების დაწყების მაჩვენებელი**




დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა ყველაზე მეტი რაოდენობა **(35%)** შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.[14]

[14] მონაცემები ამოთვლილია შეტყობინებების საფუძველზე დაწყებული **243** სისხლის სამართლის საქმიდან. მარტში მიმდინარე აქციასთან დაკავშირებულ 2 სისხლის სამართლის საქმეში, ჯამში არის 35 მსხვერპლი, მათგან 2 მსხვერპლზე შეტყობინების ინიციატორები არიან ფიზიკური პირი/მოქალაქე და შსს იზოლატორი, რაც გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი, შესაბამისად აღნიშნული ავტორები ასახულია დიაგრამაზე. დანარჩენ 33 მსხვერპლთან მიმართებით შემოსული შეტყობინებები კი დაერთო მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს. ამ შეტყობინებებში ფიქსირდებიან შემდეგი ავტორები: შსს იზოლატორი - 18 შეტყობინება, ადვოკატი - 9, ფიზიკური პირი/მოქალაქე - 2, სსიპ „112“ - 2, მასმედია - 1, შსს გენერალური ინსპექცია - 1.

## შეტყობინებათა ავტორები, რომელზეც დაიწყო გამოძიება






## 2.3. სავარაუდო მსხვერპლები

სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით, ფიგურირებს სულ **325** სავარაუდო მსხვერპლი. 307 მათგანი არის მამრობითი სქესის, ხოლო 18 მათგანი მდედრობითი სქესის.




325 სავარაუდო მსხვერპლიდან 11 პირი არის არასრულწლოვანი, ხოლო 314 სრულწლოვანი.



სავარაუდო მსხვერპლთა 26% (86) არის ადმინისტრაციული წესით დაკავებული, 19% (62) -დაკავებული ბრალდებული, 17% (56) - მოქალაქე, 16% (52) - მოწმე, 11% (37) -თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, 7% (23) - პატიმარი ბრალდებული, 1.5% (4) – არადაკავებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული, 1% (2) - არადაკავებული ბრალდებული, 0.5%-0.5% (1-1) - მსჯავრდებული და თავშესაფრის მაძიებელი პირი, ასევე 0.5% (1) - ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირი.

## 2.4. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლთა საპროცესო სტატუსი




სავარაუდო მსხვერპლების 70% (227) შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირად ასახელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს, 14% (46) - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, 15% (49) -იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს, ხოლო 1% (3) - ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს.

## უწყებები, რომლებზეც მიუთითებენ სავარაუდო მსხვერპლები




სავარაუდო მსხვერპლთა უმრავლესობამ დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი - 46% (153), აჭარა - 20% (67), ქვემო ქართლი (9% (30), იმერეთი - 8% (28), კახეთი - 6% (18), შიდა ქართლი - 5% (15), სამეგრელო ზემო-სვანეთი - 3% (10), მცხეთა-მთიანეთი -2% (7), ხოლო ორ შემთხვევაში დასახელებულია გურია 1%. [15]

[15] დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალის მაჩვენებელი აჭარბებს მსხვერპლთა ჯამურ მონაცემს, ვინაიდან 5-მა მსხვერპლმა დანაშაულის ადგილად დაასახელა ერთზე მეტი რეგიონი.

### შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი




დანაშაულის ჩადენის კონკრეტულ ადგილად, სავარაუდო მსხვერპლთა მიერ ქუჩა დასახელდა 118 (32%) შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა - 112 (30%) შემთხვევაში, ავტომანქანა - 69 (18%) შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულება - 37 (10%) შემთხვევაში, სახლი/ბინა - 18 (5%) შემთხვევაში, სხვა ადგილი - 9 (2%) შემთხვევაში, დანაშაულის კონკრეტული ადგილი უცნობია 3 (1%) შემთხვევაში, სხვა საჯარო დაწესებულება და იზოლატორი - 1-1 (0.5%-0.5%) შემთხვევაში, ასევე 1-1 (0.5%-0.5%) შემთხვევაში დასახელებულია საჯარო თავშეყრის ადგილი და ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა. [16]

[16] პროცენტული მაჩვენებელი გამოყვანილია ჯამური მონაცემიდან, რომელიც აღემატება გრაფიკზე გამოტანილ მონაცემს.

### შესაძლო დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილი




## 2.5. სისხლისსამართლებრივი დევნა

2023 წელს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **5** სისხლის სამართლის საქმეზე, **6** პირის მიმართ. აღნიშნული პირებიდან:

➢1 - შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სპეციალისტი (მესაზღვრე) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

➢1 - შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პირადი დაცვის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით (2023 წლის აგვისტოში, დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა სსკ-ის 108 მუხლით);

➢- შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების უფროსი დეტექტივი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

➢- სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორი და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

## 2.6. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 6 ბრალდებულიდან:

➢ 3 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. აღნიშნული 3 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 2 შუამდგომლობა, ხოლო 1 შემთხვევაში, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო.

➢ 3 ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე, რაც სრულად დაკმაყოფილდა.

## 2.7. გამოძიების შეწყვეტა

2023 წელს, გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით, გამოძიება შეწყვიტა **74** სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 9 საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო 2020 წელს, 19 საქმეზე - 2021 წელს, 25 საქმეზე - 2022 წელს, ხოლო 21 საქმეზე - 2023 წელს.

ზემოაღნიშნულ **74** საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. შეწყვეტილ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- **67** სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- **3** სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის $144^3$ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით;
- **2** სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის $144^3$ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით;
- **1** სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“  ქვეპუნქტით;
- **1** სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

# 3. ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა [17]

## 3.1. მიღებული შეტყობინებები

2023 წელს, სამსახურში ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შემოვიდა სულ **117** შეტყობინება. აღნიშნული შეტყობინებების **62**% (**73** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **14**% (**16** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **10**% (**12** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, **10**% (**11** შეტყობინება) - აჭარის სამმართველომ, ხოლო **4**% (**5** შეტყობინება) - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველომ.

**შემოსული შეტყობინებების რაოდენობა**




შეტყობინებათა (**53**%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.[18]

---

[17] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი სსკ-ის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 126[1], 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

[18] რიგ შემთხვევებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

## მიღებული შეტყობინებების ავტორები




### მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **117** შეტყობინება შეეხებოდა **126** პირს. შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა **41**%-ის (**52** პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება, 23%-ის (29 პირი) მიმართ შეტყობინებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, 13%-ის (16 პირი) მიმართ გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, 10%-ის (12 პირი) შემთხვევაში შეტყობინება წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას გამოძიებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით, 6%-ის (8 პირი) შემთხვევაში - სავარაუდო მსხვერპლმა უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, ხოლო 7%-ზე (9 პირი) მიმდინარეობს წარმოება.

**მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება**

(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)




## 3.2. გამოძიების დაწყება

2023 წელს, სამსახურმა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით გამოძიება დაიწყო **79 სისხლის სამართლის საქმეზე.** აქედან, **46** საქმეზე - მიღებული შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული 46 საქმიდან 27-ზე გამოძიება დაიწყო საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 9-ზე - დასავლეთის სამმართველოში, 3-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 4-ზე - კახეთის სამმართველოში, ხოლო 3-ზე - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში. სამსახურში უწყებრივი ქვემდებარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოიგზავნა **23** სისხლის სამართლის საქმე. 23 საქმიდან 16-ზე გამოძიება გაგრძელდა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 3-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 2-ზე - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში, ხოლო 2-ზე - კახეთის სამმართველოში.

9 სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან იმავე დღეს, 4 - მე-2 დღეს, 1 - მე-3 დღეს, 2 - მე-5 დღეს, 1 - მე-6 დღეს, 3 - მე-10 დღეს, 1 - მე-16 დღეს, 1 - მე-18 დღეს, ხოლო 1 - 2 წლის შემდეგ.

10 სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სამსახურის წარმოებაში არსებული საქმეებიდან. აღნიშნული საქმეებიდან 1-ზე გამოძიება გაგრძელდა საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში, 1-ზე

- სამეგრელო-ზემო სვანეთი სამმართველოში, 7-ზე აღმოსავლეთის სამმართველოში, ხოლო 1-ზე - კახეთის სამმართველოებში.

**გამოძიების დაწყების მაჩვენებელი**




აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე **11** შეტყობინება შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფიდან, **4** - შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, **5** - შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან, **1** - შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან, **3** - საქართველოს პროკურატურიდან, **1** - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელიდან,[19] **19** ფიზიკური პირი/მოქალაქიდან, ხოლო **2** - სხვა წყაროდან.

[19] გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი.

## შეტყობინებათა ავტორები, რომელზეც დაიწყო გამოძიება




**დანაშაულის კვალიფიკაცია**

ზემოაღნიშნული საქმეებიდან **4** საქმე უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, **8** - 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, **1** - 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით, **1** - 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 24, 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, **2** - 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, **2** - 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** საქმე - 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, **1** - 151-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 126-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო **1** - 139-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**2** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, **5** - 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,

**1** - 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, **9** - 151-ე მუხლის პირველი ნაწილით, **3** - 151-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, **12** - 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 11 პრიმა 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, **3** - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, **1** - 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით, **1** - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით, **1** - 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, **1** - 138-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 151-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 11 პრიმა 109-ე მუხლის „ლ" ნაწილით, **1** - 150-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 108-ე მუხლით, ხოლო **1** - 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

**1** საქმე გამოიყო საქართველოს სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით, **1** - 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, **1** - 108-ე მუხლით, **1** - 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, **1** - 373-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, **1** - 370-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო **1** - 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია**




## 3.3. სავარაუდო მსხვერპლები

2023 წელს, საქმეებში, რომლებზეც გამოძიება დაიწყო ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით, **ფიგურირებს სულ 92 სავარაუდო მსხვერპლი,** მათგან **62** მამრობითი, ხოლო **30** მდედრობითი სქესისაა.




სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი:




## 3.4. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლებმა დანაშაულის ჩადენის ადგილად 36 შემთხვევაში დაასახელეს თბილისი, 10 - იმერეთი, 9 - სამეგრელო-ზემო სვანეთი, 8 - შიდა ქართლი, 4 - აჭარა, 8 - კახეთი, 6 - სამცხე-ჯავახეთი, 2 - გურია, 3 - მცხეთა-მთიანეთი, 6 - ქვემო ქართლი. 1 შემთხვევაში დანაშაულს მსხვერპლი (ფიზიკური პირი) არ ჰყავს,[20] მაგრამ დანაშაული ჩადენილია ქვემო ქართლში.

[20] გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 370-ე მუხლით (ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ან არასწორი თარგმანი).




## 3.5. სისხლისსამართლებრივი დევნა

2023 წლის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **33** პირის მიმართ **30** სისხლის სამართლის საქმეზე, რომელებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული **33** პირიდან:

- **1** შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მე-5 სამმართველოს უფროსი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 108-ე მუხლით, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის**

**კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 108-ე მუხლით, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;**

- **1** შსს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის 9 სამმართველოს სპეციალისტი (ოპერატორი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 108-ე მუხლით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით;**

- **1** შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს თელავის დაცვის პოლიციის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფების ინსპექტორი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უმცროსი ინსპექტორი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით, 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;**

- **1** დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს I განყოფილების უმცროსი ინსპექტორი (ათმეთაური) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს პირველი სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი);

- **1** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს სტატისტიკის განყოფილების მთავარი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (4 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (5 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;**

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილითა, 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით;**

- **1** შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მე-5 სამმართველოს უფროსი.[21] მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 273-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილითა და 263-ე მუხლის მე-3 ნაწილით;

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უმცროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით;**

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს

[21] 2022 წლის 27 სექტემბრიდან პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს-ის კადრების განკარგულებაში.

(წითელი ხიდი) N12 სასაზღვრო სექტორის (უდაბნო) უფროსის მოადგილე. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 120 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს უმცროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ზ", "დ" და "კ" ქვეპუნქტებითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით;

- **1** შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მე-3 მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151 მუხლის 1-ლი ნაწილით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1-ლი ნაწილითა, 151 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით;**

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "112"-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს რუსთავის ცენტრის ოპერატორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქუთაისის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს მეხანძრე-მაშველი (მძღოლი). მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი);**

- **1** შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს გუდაურის პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს ქობულეთის დაცვის პოლიციის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფების უმცროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის

126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით;

- **1** შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი დეტექტივი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის "თ", "კ", "ლ" და "მ" ნაწილებით;

- **1** შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს ფიზიკურ პირთა დაცვის ქვედანაყოფის ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის "ლ" ნაწილით;

- **1** შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;**

- **1** შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილების (კარწახი) პატრულ-ინსპექტორი (მესაზღვრე-კონტროლიორი). მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

- **1** შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** სპეციალური პენიტენციური სამსახურის N12 პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგის თანაშემწე. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით;

- **1** შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის აბაშის რაიონული სამმართველოს დეტექტივების (ოპერატიული) განყოფილების უბნის უმცროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ზ" ქვეპუნქტებით და 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით (ოთხი ეპიზოდი). **აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის**

**კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტითა (ოთხი ეპიზოდი) და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით;**

- **1** შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ბორჯომის დაცვის პოლიციის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფების უმცროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1-ლი ნაწილითა (ორი ეპიზოდი) და 126 მუხლის 1 პრიმა ნაწილის "გ" ქვეპუნქტით;

- **1** შსს აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს ბათუმის დაცვის პოლიციის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფის უმცროსი ინსპექტორი. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.

- **1** მოქალაქე და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 373 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** მოქალაქე და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

- **1** მოქალაქე და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** მოქალაქე და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 187 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- **1** მოქალაქე და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლითა და 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

ბრალდებული **33** პირიდან, 31 (94%) ბრალდებული არის მამრობითი სქესის, ხოლო 2 (6%) - მდედრობითი.

## 3.6. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 33 ბრალდებულიდან, გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა 19 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, 12 ბრალდებულის მიმართ - გირაოს, ხოლო 2 ბრალდებულის მიმართ

აღკვეთის ღონისძიება არ მოუთხოვია.[22] აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნასთან მიმართებით, 9 შემთხვევაში დააკმაყოფილა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 10 შემთხვევაში არ დააკმაყოფილა და პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის ღონისძიების სახედ შეუფარდა გირაო. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილ გირაოს, 10 ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა, ხოლო 2 შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრამდე განხილული იქნა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ.

## 3.7. გამოძიების შეწყვეტა

2023 წლის განმავლობაში, საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორმა სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით, გამოძიება შეწყვიტა 5 სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ:

- 1 საქმე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გამოძიება შეწყდა ბრალდებაზე უარის თქმის გამო);
- 2 საქმე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო);
- 1 საქმე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილებით (გამოძიება შეწყდა ბრალდებაზე უარის თქმის გამო);
- 1 საქმე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო).

## 3.8. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

2023 წელს, სამსახურმა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებით, გამოძიება დაიწყო **79** სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც **92** სავარაუდო მსხვერპლი გამოიკვეთა. აქედან, დისკრიმინაციის

[22] ერთ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიება არ იქნა მოთხოვნილი, რადგან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეზე შეფარდებული აქვს პატიმრობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - ბრალდების შესახებ დადგენილება გაეცნო ადვოკატს, ხოლო ბრალდებული კლინიკაშია მოთავსებული.

ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა **18** სისხლის სამართლის საქმეში (**19** სავარაუდო მსხვერპლის მიმართ). **17** სისხლის სამართლის საქმეში (18 მსხვერპლის მიმართ) ქმედება განხორციელდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ხოლო **1** შემთხვევაში (1 მსხვერპლის მიმართ) - რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც მოტივი გამოიკვეთა, გამოძიება მიმდინარეობს შემდეგი მუხლებით:

- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ბრალი წარედგინა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (4 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა[23] გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (5 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11[1] - 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი[24] წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით. აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით, 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და ბრალიც წარედგინა ამავე მუხლით. აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი[25] და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და ბრალიც[26] წარედგინა ამავე მუხლით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ბრალი[27] წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. აღნიშნული პირის მიმართ

---

[23] აღსანიშნავია, რომ დაზუსტებულ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.
[24] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.
[25] აღსანიშნავია, რომ დაზუსტებულ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.
[26] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.
[27] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი);

- 1 საქმეზე[28] - სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „ლ“ ნაწილით, ხოლო ბრალი[29] წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის "თ", "კ", "ლ" და "მ" ნაწილებით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ზ" ქვეპუნქტებით და 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით (ოთხი ეპიზოდი). აღნიშნული პირის მიმართ მოგვიანებით დაზუსტდა ბრალი[30] და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ზ" ქვეპუნქტებით, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტითა (ოთხი ეპიზოდი) და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი[31] წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ზ", "დ" და "კ" ქვეპუნქტებითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ბრალიც[32] წარედგინა ამავე მუხლით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პირმა მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით და ბრალიც[33] წარედგინა ამავე მუხლით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით;

---

[28] აღნიშნულ საქმეზე ორი დაზარალებულია.

[29] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

[30] აღსანიშნავია, რომ დაზუსტებულ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

[31] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

[32] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება გამოიტანა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა და ისე გადმოიგზავნა საქმე, ხოლო დადგენილებაში არ არის რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული. 2023 წლის 4 ოქტომბერს დამნაშავედ იქნა ცნობილი.

[33] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პირმა მუხლის პირველი ნაწილით და ბრალიც[34] წარედგინა ამავე მუხლით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 11', 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი[35] წარედგინა დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი).




[34] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.
[35] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

# 4. ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[36]

## 4.1. მიღებული შეტყობინებები

2023 წელს, სამსახურში იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164⁴ მუხლები), შემოვიდა **459** შეტყობინება. აქედან **72%** (**332** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **12%** (**54** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, **9%** (**38** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **4%** (**19** შეტყობინება) - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველომ, ხოლო **3%** (**16** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ.

**შემოსული შეტყობინებების რაოდენობა**




**მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება**

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **459** შეტყობინება შეეხებოდა **526** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებების **27%** (**143** პირი) **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს,** სავარაუდო მსხვერპლთა **28**%-ის (**146** პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება, 20%** (**106** პირი) **გაიგზავნა სხვა უწყებაში** რეაგირებისთვის,

[36] იგულისხმება სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

შეტყობინებების **10%** (**54** პირი) **დაერთო** სისხლის სამართლის საქმეს, **12%**-ის (**60** პირი) მიმართ **მიმდინარეობს წარმოება,** ხოლო **3%**-მა (**17** პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია.




## 4.2. გამოძიების დაწყება

2023 წელს, სამსახურმა დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლები), გამოძიება დაიწყო **201** სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან **150** საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, **32** საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, **16** საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის დადგენილების საფუძველზე, ხოლო **3** საქმეზე გამოძიება დაიწყო მედიასაშუალებაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული **201** სისხლის სამართლის საქმიდან, **124** საქმეზე გამოძიება წარიმართა აღმოსავლეთის სამმართველოში, **26** საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, **21** საქმეზე - დასავლეთის სამმართველოში, **17** საქმეზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში, **13** საქმეზე - კახეთის სამმართველოში.

## გამოძიების დაწყების მაჩვენებელი




უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოგზავნილი **32** სისხლის სამართლის საქმიდან:

- **12** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან იმავე დღეს;
- **2** - გამოძიების დაწყებიდან მე-2 დღეს;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან მე-3 დღეს;
- **3** - გამოძიების დაწყებიდან მე-4 დღეს;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან მე-5 დღეს;
- **2** - გამოძიების დაწყებიდან მე-6 დღეს;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან მე-7 დღეს;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან მე-8 დღეს;
- **2** - სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან ორი კვირის ვადაში;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან მე-18 დღეს;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან მე-19 დღეს;
- **3** - გამოძიების დაწყებიდან 2 თვის ვადაში;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან თითქმის 3 თვის ვადაში;
- **1** - გამოძიების დაწყებიდან თითქმის 4 თვის ვადაში.

**დანაშაულის კვალიფიკაცია**

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $157^1$ მუხლით.[37]

**გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია**




## 4.3. სავარაუდო მსხვერპლები

2023 წელს, გამოძიებადაწყებულ და წარმოებაში გადმოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-

[37] სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 151-ე მუხლის 1 ნაწილით, შეუერთდა სხვა სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც გამომძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.

- რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გამოძიების მიმდინარეობას, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოიყო იმ სისხლის სამართლის საქმიდან, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

- სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, გამოეყო იმ სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

- სსკ-ის $273^1$ მუხლის 1-ლი ნაწილით გამოძიებადაწყებული სისხლის სამართლის საქმე არის გამოყოფილი იმ სისხლის სამართლის საქმიდან, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის $157^1$ მუხლის 1-ლი ნაწილით.

ე–159-ე მუხლები), ფიგურირებს სულ **229** სავარაუდო მსხვერპლი, რომელთაგან **175** პირი არის მდედრობით სქესის, **52** პირი - მამრობითი სქესის, **1** - ტრანსგენდერი ქალია, **1** პირის სქესი კი უცნობია.[38]




**229** სავარაუდო მსხვერპლიდან, **43** პირი არის არასრულწლოვანი, **182** პირი - სრულწლოვანი, ხოლო **4** სავარაუდო მსხვერპლის ასაკი უცნობია.

[38] 2 სისხლის სამართლის საქმეში სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობა და ვინაობა უცნობია.


სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი
19% (43)
20% (46)
30% (69)
19% (44)
6.5% (15)
1% (3)
2% (4)
0.5% (1)
2% (4)
9-17 წელი
18-24 წელი
25-34 წელი
35-44 წელი
45-54 წელი
55-64 წელი
65-74 წელი
75-84 წელი
უცნობია


შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი
თბილისი
30% (68)
სამეგრელო-ზემო სვანეთი
8% (19)
აჭარის ა/რ
8% (19)
იმერეთი
7.5% (18)
კახეთი
7% (16)
შიდა ქართლი
6.5% (16)
ქვემო ქართლი
5% (11)
სამცხე-ჯავახეთი
2% (4)
გურია
1% (2)
მცხეთა-მთიანეთი
0.5% (1)
ქვემო ქართლი/მცხეთა-მთიანეთი
0.5% (1)
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
0.5% (1)
აჭარის ა/რ, იმერეთი
0.5% (1)
უცნობია
23% (52)

## 4.4. სისხლისსამართლებრივი დევნა

2023 წელს, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153–159-ე მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **49** სისხლის სამართლის საქმეზე, **54** პირის მიმართ. აღნიშნული **54** პირიდან:

- **24** პირის (23 მოქალაქე /1 თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **8** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 157 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 157 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით;
- **4** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **2** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;
- **2** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით;
- **2** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილით;
- **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 157[1] მუხლის პირველი ნაწილითა და 157[1] მუხლის მეორე ნაწილებით;

➢ **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

➢ **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და $157^1$ მუხლის 1-ლი ნაწილით;

➢ **1** პირის მიმართ (მოქალაქე) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის $157^1$ მუხლის 1-ლი ნაწილითა და 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით;

➢ **1** პირის მიმართ (მოქალაქე) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის $157^1$ მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით;

➢ **1** პირის (მოქალაქე) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ელი ნაწილით;

➢ **1** პირის მიმართ (მოქალაქე) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის $157^1$ მუხლის მე-3 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით;

➢ **1** პირის (თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის $157^1$ მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტითა და 141-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ბრალდებული 54 პირიდან, **46** პირი არის მამრობითი სქესის, **8** პირი - მდედრობითი სქესის.

## 4.5. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული **54** ბრალდებულიდან, გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა **33** ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, **14** ბრალდებულის მიმართ - გირაოს გამოყენების თაობაზე, ხოლო 7 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ მოუთხოვია, რადგან სხვა სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა, მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში და არ არსებობს მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნასთან მიმართებით, **26** შემთხვევაში დააკმაყოფილა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება, ხოლო **17** შემთხვევაში არ დააკმაყოფილა და პატიმრობის ნაცვლად

აღკვეთის ღონისძიების სახედ **16** პირს შეუფარდა გირაო და **1** შემთხვევაში - გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, ასევე, ბრალდებულს აეკრძალა დაზარალებულთან კომუნიკაცია შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, რისი კონტროლიც დაევალა პოლიციის შესაბამის განყოფილებას დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ასევე, ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გამოძიების ორგანოში ჩაბარების, ასევე წინასასამართლო სხდომამდე გამოძიების ორგანოში კვირაში ორჯერ, გამომძიებლის მიერ დადგენილ დღეს გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება. **4** შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრამდე განხილული იქნა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ.

## 4.6. გამოძიების შეწყვეტა

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებზე, 2023 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მიერ, გამოძიება შეწყდა **9** სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმეებიდან:

- **6** -ზე გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1** -ზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით;[39]
- **1** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.40
- 5 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო 4 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა, რადგან პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

---

[39] აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოეყო სსკ-ის 157-ე პრიმა მუხლით გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეს.

[40] აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოეყო სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეს.

## 4.7. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

2023 წელს, სამსახურმა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153–159-ე მუხლები) გამოძიება დაიწყო **201** სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც სულ **229** სავარაუდო მსხვერპლი გამოიკვეთა. აქედან, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა **43** საქმეში, **56** სავარაუდო მსხვერპლის მიმართ.

აღნიშნული **43** სისხლის სამართლის საქმიდან გამოიკვეთა:

- **25 საქმე,** გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 157[1] მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **6 საქმე,** რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;
- **4 საქმე,** გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით;
- **3 საქმე,** სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1]-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით;
- **2 საქმე,** რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1 საქმე,** გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;
- **1 საქმე,** რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით;
- **1 საქმე,** გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით;

**დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი**



# 5. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურატურას **7** დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან:

- ✓ **2** დასაბუთებული წინადადება შეეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას (1 წინადადება არ დაკმაყოფილდა, 1 წინადადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა);
- ✓ **5** დასაბუთებული წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობას (3 წინადადება სრულად დაკმაყოფილდა, 2 წინადადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა).

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე, საქართველოს გენერალურ პროკურორს **1** დასაბუთებული წინადადებით მიმართა, რითაც, გასაჩივრდა ზედამხედველი პროკურორის უარი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ წარდგენილ დასაბუთებულ წინადადებაზე. აღნიშნული წინადადება სრულად დაკმაყოფილდა.



აღნიშნული **8** წინადადებიდან, სრულად დაკმაყოფილდა **4** წინადადება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა **3** წინადადება (2 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, 1 წინადადება - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას), ხოლო **1** წინადადება, რომელიც შეეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას, არ დაკმაყოფილდა.




## 6. შედარებითი ანალიზი

შედარებითი ანალიზი გაკეთებულია წლების მიხედვით ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით (არასათანადო მოპყრობის ფაქტები) ნაწარმოებ საქმეებზე არსებულ შედეგობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. შედარებულია 2020 და 2021 წლებისა და 2022 წლის მარტი-დეკემბრის მონაცემები 2023 წლის მაჩვენებლებთან, შემოსული შეტყობინებების რაოდენობების, გამოძიების დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასაბუთებული წინადადებების მაჩვენებლების მიხედვით.

## შემოსული შეტყობინებების რაოდენობა




სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში 2020 წელს შევიდა 2622 შეტყობინება, 2021 წელს - 3115 შეტყობინება, 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შემოვიდა 2017 შეტყობინება, ხოლო 2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა 2245 შეტყობინება.[41]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2020 წელს გამოძიება დაიწყო 270 სისხლის სამართლის საქმეზე, 2021 წელს - 365 საქმეზე, 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო 237 საქმეზე, ხოლო 2023 წელს - 257 სისხლის სამართლის საქმეზე.[42]

---

[41] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის $144^1$–$144^3$ მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები;

[42] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის $144^1$–$144^3$ მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.




სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში 2020 წელს შესული 2622 შეტყობინებიდან გამოძიება დაიწყო 270 (10%) საქმეზე, 2021 წელს - 3115 შეტყობინებიდან გამოძიება დაიწყო 365 (12%) საქმეზე, 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შემოსული 2017 შეტყობინებიდან - 237 (12%) საქმეზე, ხოლო 2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 2245 შეტყობინებიდან - 257 (11%) საქმეზე.[43]

[43] ზოგ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის შესახებ დადგენილების ან სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილების საფუძველზე.




სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, 2021 წელს - 6 პირის მიმართ, 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ, ხოლო 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ.[44]

---

[44] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის $144^1$–$144^3$ მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

# 7. დასაბუთებული წინადადებების შედარებითი ანალიზი




**2020 წელს,** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პროკურატურას 23 დასაბუთებული წინადადებით მიმართა, საიდანაც არცერთი წინადადება არ იყო გაგზავნილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით. 20 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 3 წინადადება - გამოძიების შეწყვეტას. **2021 წელს,** სამსახურმა საქართველოს პროკურატურას 10 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 4 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 6 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

**2022 წლის მარტი-დეკემბრის** პერიოდში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, პროკურატურას 14 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ხოლო 6 - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

**2023 წელს,** სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა და უფროსის მოადგილემ, პროკურატურას 8 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 5 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ხოლო 3 წინადადება - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას (აღნიშნული **3** წინადადებიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე, საქართველოს გენერალურ პროკურორს 1 დასაბუთებული წინადადებით მიმართა, რითაც გასაჩივრდა ზედამხედველი პროკურორის უარი სპეციალური საგამოძიებო

სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ წარდგენილ დასაბუთებულ წინადადებაზე. აღნიშნული წინადადება სრულად დაკმაყოფილდა).

